სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18480755556923

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230500208

რეგისტრაციის თარიღი

20.04.2023 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47

ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge

ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ოც აპრილს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №47, მომმართა შპს ქართული რესტორნები -ს (ს/ნ 405177375) დირექტორმა მამუკა ნამიჩეიშვილმა, თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20078805, 05/11/2020 19:56:47. მან განაცხადა, რომ სურს ლევან მამისაშვილის (დაბადებული 02.11.1978წ, თბილისში, პ/ნ 01021001076, რეგისტრ. თბილისი ავშნის ქ. N 126) მიმართ უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მამუკა ნამიჩეიშვილმა (დაბადებული14.10.1972წ. თბილისში, პ/ნ 01008013288, რეგისტრ. ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 75, კორპუსი 7, ბინა 10) მომმართა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე მას მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

შპს ქართული რესტორნები -ს (ს/ნ 405177375) დირექტორმა მამუკა ნამიჩეიშვილმა „შემდგომში მიმნდობი", წინამდებარე მინდობილობით **ლევან მამისაშვილს,** შემდგომში „მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. იგი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელწიფო და არასახელწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრში, სსგს-ში, სამეწარმეო რეესტრში, ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიაში, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, გამგეობაში და მათ შესაბამის სამსახურებში, მათ შორის ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, თვითმმართველობასთან არსებულ მუდმივმოქმედ კომისიასთან, აღიარების კომისიაში, საპროექტო სამსახურებში, აზომვით სამსახურებში, გამწვანების სამსახურში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ არქივში, რათა წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები, საზოგადოების თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მდებარე: ქალაქი თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი, #67, ს/კ 01.13.01.018.357. ლევან მამისაშვილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით დააკანონოს და დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში საზოგადოების სახელზე აღნიშნული უძრავი ქონება, იგი უფლებამოსილია აწარმოოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვის მიღებისა და პროექტის დამტკიცება/შეთანხმებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მოახდინოს აღნიშნული უძრავი ქონების ლეგალიზება, დაკანონება, პრივატიზება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გამიჯვნა, პროექტის კორექტირება, აწარმოოს სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საჭიროების შემთხვევაში მიმნდობის სახელით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს და/ან შესაბამისი ორგანოს სხდომებში, კომისიებში, კრებებში გადაწყვეტილების მიღების და ხმის მიცემის უფლებით, ნებისმიერ დოკუმენტში ხარვეზის შესწორების და მისი რეგისტრაციის უფლებით. გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია, ნებართვები, ფოტომონტაჟის ნახაზი, დააზუსტოს ფართი, მოახდინოს წითელი ხაზების

კორექტირება, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, მათ შორის ელ. ვერსია, ელექტრონულად ატვირთოს დოკუმენტაცია, შეიტანოს ნახაზებში კორექტირება, თავისი შეხედულებით მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, განაცხადოს თანხმობა და/ან უარი და ხელი მოაწეროს მას.

ხელი მოაწეროს განცხადებებს, თანხმობას, შეთანხმებებს, კონტრაქტებს, მიღება-ჩაბარების აქტს, ყველა საჭირო დოკუმენტს, გადაიხადოს გადასახადები, მოახდინოს საჭირო დოკუმენტების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, საჭიროების შემთხვევაში გამოასწოროს ხარვეზი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

2. „მიმნდობი პირი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა გარიგების სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე „მინდობილი პირი“ ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთარსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს „მიმნდობი პირს“. მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობი პირს“.

3. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით გადანდობის უფლების გარეშე.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში, თან ერთვის დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან **შპს ქართული რესტორნები -ს (ს/ნ 405177375)-ის შესახებ**

მაყვალა ნამჩავაძე

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59535478113623

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230500890

რეგისტრაციის თარიღი

20.04.2023 წ

ნოტარიუსი: გვანცა_კვაცაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #117 (მე-2 სართული)
ტელეფონი: (+995) 595 01 34 34

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცი აპრილი
საქართველოს ნოტარიუსი გვანცა კვაცაშვილი
სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №117 (მე-2 სართული)

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **შპს „ბასა სერამიკა"ს** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, ამონაწერის მომზადების თარიღი: B10005959, 21/01/2010 10:56:57, იურიდიული მისამართი: საქართველო ქ. თბილისის ისნის რაიონში მოსკოვის გამზ. კორპ. 11, ბინა 13, საიდენტიფიკაციო კოდი: 406024234) **დირექტორი დავით ზარიძე.** მან განაცხადა რომ ამჟამად იმყოფება **დუბაიში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს მინდობილობა და დაადასტუროს სანოტარო წესით. (სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის - მუხლი 52, პუქტი 3, პუნქტი 4).

<u>მინდობილობის გამცემი:</u> **შპს „ბასა სერამიკა"ს (ს/კ 406024234) დირექტორი დავით ზარიძე** (დაბადებული: 17.07.1980წელს, პირადი ნომერი 01011015125, პასპორტის 18AE30599, გაცემული 30.09.2019წელს და ძალაშია 30.09.2029წლამდე, მისამართი: თბილისი გუდარეხის IV ჩიხი N 7)

<u>მინდობილობის მიმღები:</u> **ლევან მამისაშვილი** (დაბადებული 02.11.1978წელს. პირადი №01021001076, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ავშნის ქ. N 126).

მოწმე: თამარ მამაგულაშვილი (დაბადებული 22.02.1994წელს. პირადი №43001041186, რეგისტრირებული მისამართი: ქარელი ს. დვანი)

ხელმომწერი პირი: ვარსენიკ გარაშჩევი (დაბადებული 21.11.1982წ. პირადი #01011023375, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ხათუნა ჭიჭინაძის ქუჩა, N 31).

ნოტარიუსის **გვანცა კვაცაშვილის** მიერ **სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის** მეშვეობით შემოწმებულია მინდობილობის გამცემის პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის სერიის ნომერი ემთხვევა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემებს, შემოწმებულია მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა. ნოტარიუსის მიერ ასევე შემოწმებულია სანოტარო აქტის მონაწილეთა პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტით, მათი ქმედუნარიანობა.

სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულ იქნა მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, **მოწმეები არ უნდა იყვნენ მიმნდობის ნათესავები აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით და წინამდებარე სანოტარო აქტით დაინტერესებული პირები.** მხარემ და მოწმემ განაცხადეს, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები, რის შემდგომაც მინდობილობის გამცემმა ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი ტექსტი:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

<u>მინდობილობის გამცემი:</u> მე **დავით ზარიძე** (დაბადებული: 17.07.1980წელს, პირადი ნომერი 01011015125, პასპორტის 18AE30599, გაცემული 30.09.2019წელს და ძალაშია 30.09.2029წლამდე, მისამართი: თბილისი გუდარეხის IV ჩიხი N 7) როგორც **შპს „ბასა სერამიკა"ს (ს/კ 406024234)** დირექტორი უფლებამოსილებას ვანიჭებ **ლევან მამისაშვილს** (დაბადებული 02.11.1978წელს. პირადი №01021001076, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ავშნის ქ. N 126) მასზედ, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, კერძო დაწესებულება-ორგანიზაციაში და ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის: სანოტარო ბიუროში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, სსგს სამოქალაქო რეესტრში, ნოტარიუსთა პალატაში, ასევე მერიაში, მერიის საქალაქო სამსახურში, იყოს წარმომადგენელი გამგეობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არქიტექტურისა და მუნიციპალურ ინსპექციების სამსახურებში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, აღიარების კომისიაში, ქ. თბილისის მერიის გამგეობის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, ნებისმიერ არქივში, იყოს წარმომადგენელი თბილისის საკრებულოში, მოახდინოს უძრავი ქონების ლეგალიზება (განცხადების ნომერი: AR1959478-ს შესაბამისად) დაკანონება, პრივატიზაცია, აზომოს, გამიჯნოს მიიღოს მშენებლობის ნებართვა უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.13.01.018.357), წარადგინოს პროექტი აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, აწარმოოს მოლაპარაკება ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება, მოახდინოს კორექტირება სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოები, მიიღოს წარადგინოს და ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, გააკეთოს განცხადება, თანხმობა გამოთხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი, გადაიხადოს ნებისმიერი საჭირო გადასახადი ამასთან განახორციელოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

<u>მინდობილობის ვადა:</u> **მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.**

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩაიწერა ნოტარიუსმა გვანცა კვაცაშვილმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წაიკითხა „მინდობილობის გამცემმა" და დაადასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ იგი მინდობილობის შედგენისას არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ვარსენიკ გარაშჩევს,** ხოლო სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდა მოწმე **თამარ მამაგულაშვილი.**

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუს **გვანცა კვაცაშვილის** სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში დაერთვის საზოგადოების ამონაწერი და წესდება ხელმისაწვდომია WWW.NAPR.GOV.GE-ზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **111.20** /ასთერთმეტი ლარი და ოცი თეთრი/ **ლარი,** მათ შორის: **90.00**/ოთხმოცდაათი/**ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება №507) 32-ე მუხლისა, **5.00** /ხუთი/ **ლარი,** თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა და **დ.ღ.გ. 16.20**/თექვსმეტი ლარი და ოცი თეთრი/ ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე.

ხელმომწერი პირი

---ვარსენიკ გარაშჩევი---

მოწმე:

თამარ მამაგულაშვილი

ნოტარიუსი გვანცა კვაცაშვილი

